13
1917

№ 6 –1917
შაგათი 4 თებერ.

ქმნაზეთ წელი
გამოცემაა
ფასი 15ჯ.

1906

ნიკო გოცირიძე 20 წდ. მოდგაწეობის კაბა

შინაარსი

1, მეთაური—ხახალხი მუშაკის დღესასწაული 2
2 დამსწრე—„ვისი და რის ბრალია?“ . . „
3, ივ. გომართელი—ალ. ჭიაურელი . . . 3,
4, ივ. გომართელი—ნუმი მოკანება . . . 4,
5, ჯაბაური—ნ. გოგირიძე 6,
6, ი. დარიშვილი—ნობათი ნ. გოგირიძეს 8
7, ძიძიძე—სიკვა ხარ, სიკვ? . . . . . „
8, მის ბოშორიშვილი—ვნების ბრწყინვალებაში სურათები 5 მაქ. (ბირველი მაქშეფება) 9,
9, ლ. ძიძური—წამების ასული 14,
10, ბაზარი—შვი ზღვის სასპარეზ . . . „
ფვრილი ამბები, სურათები, განცხადებანი

ნ. გოცირიძე (სტეპან მაკარიანის როლში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის 4

სახალხო მუშაკის დღესასწაული

ზეიმობს ერთი თვისი ქუმარიტი ქურუმის ნიკო გოცირიძის მოღვაწეობას...

ამ ნიკო გოცირიძისა, რომელიც რაოდენთაც ნიჭიერი მსახიობი, იმდენად ნამდვილი მოკალაქე, ხალხის გათვითცნობიერების ქუმარიტი მუშაკი..

მისთვის არ იყო მამონა, იყო მხოლოდ მეღპომენე, რომელსაც უანგარო, გულის სიწმინდით ემსახურებოდა..

და დღესაც ემსახურება!

სახალხო სცენამ დიდი ამაგი დასდო ჩვენის ერის გათვითცნობიერების და მომავალში კიდევ უფრო მეტს შესძენს მას. ამ სცენის მუშაკნი, უმეტესად, სრულიად უფასოდ მსახურობენ წმინდა ტაძრის სამხვერპლოსთან და ნეტარება მას— ვინც ხალხის მადლობას დიმსახურებს!—

ეს შესძლო ნიკო გოცირიძემ.

მრავალ მწუხარე, ალმაშფოთებელი და მოუსვენარ წელთა შრომის სანაცვლოდ დღეს ხალხი ხელერთპირად შესძახებს ნაამაგდარ სახალხო მუშაკს „გმადლობთ ჩვენო ნიკოო!“

და ეს იქნება უდიდესი ჯილდო!

ამ დღეა, პროვინციაც გამოეხმაურება ნიკოს იუბილეს.

ვინაკოროთ, რომ ასეთი უანგარო და ნიჭიერი მუშაკნი მრავლად გამოსჩენოდეს ჩვენს სახალხო სცენას!

ჩვენ-კი ჩვენს ნიკოს ვუსურვებთ დიდგრძელობას სახალხო თეატრის საკეთილდღეოდ.

„ვისი და რის ბრალია?“

„თეატრი და ცხოვრ.“-ის ნომერში მეთაურმა ასეთი საკითხი წამოაყენა: „ვისი და რის ბრალია“ და მეეხო ჩვენი ნიჭიერი თეატრის გაჭირვებულ მდგომარეობას. ბ. „ყოფილმა“ № 2-ში მას ვითომ პასუხი გასცა.

ეხლა მეც მინდა ასეთივე კითხვა დავსვა:

1—ვისი და რის ბრალია, ანუ რა მიზეზია, რომ ბ. გ. გვაზავამ გამეგობის წევრობაზე უარი განაცხადა?

2—ვისი ან რის ბრალია, ანუ რა მიზეზია, რომ ნ. ქართველიშვილი საზოგადო კრებამ ერთხმად აირჩია გამეგობის წევრად; მან მოითხოვა ფარული კენჭის ყრა (და სრულიად სამართლიანად) და ფარული კენჭის ყრით-კი მხოლოდ 3 თუ 4 ხმით გავიდა??

განა ეგ ჩვენი საზოგადოებრივობის გაკოტრების მაჩვენებელი არ არის?

ადამიანისათვის ცხადათ ვერ გაგვიმედნია ვერ გაგვიცხადებია მისთვის მისდგან ჩვენი ანტიპათეა; ღიათ ერთხმად ვირჩევთ წევრად და ფარულად-კი ყუთში შავ-კენჭს ვაძლევთ.

თუ წევრობაზე თანხმობა განაცხადეს და ყუთიც დაიდგეს, სჩანს მეშაობის სურვილი ჰქონდათ ორივეს!

გამეგობის პირველ კრებაზედვე-კი ორთავენი უარს აცხადებენ!.

რა მიზეზია?

განა აქ ცუდი სული არა სცემს?

იქნება ბ. გვაზავამ და ნ. ქართველიშვილმა შინაური მდგომარეობა წამოაყენონ უარის მიზეზად? მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნება ამის დაჯერება!

არა! აქ სულ სხვა მიზეზებია! სხვაგან არის დამარხული ძაღლის თავი.

ისეთი მცოდნე, უანგარო მუშაკი, საქმის მოყვარული და განათლებული მოღვაწე, როგორც ბ. ნ. ქართველიშვილია, რად უნდა ჩავაყენოთ ისეთი პირობაში, რომ წევრობაზე უარი ვთქმევინოთ?

ჯერ ვირჩევთ—მერე ვაშავებთ!!

რას ნიშნავს ესა?

შეიძლება ეს ჩემი კითხვა ბევრმა სისულელედ ჩამითვალოს, მაგრამ მე ვსთხოვ ყველას, ვისაც ქართული თეატრის ბედღბალი ინტერესებს, ღრმად ჩაუკრდეს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს!.. ერთხელ და სამუდამო დარწმუნდეს, რომ დრამ. საზოგადოებაში „не все обстоить благополучно“ რომ აქ უფრო პირადი თვმოყვარეობთ ხელძღვანელობენ, ვიდრე საზოგადო სიკეთისადმი ინტერესებით!

დამსწრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსი ჭიჭინაძე (1851—1917

ალექსი ჭიჭინაძე

საყვარელი მასწავლებელი — ეი ორი სიტ ყვა, რომლითაც შეიძლება ალექსი ჭიჭინაძის დახასიათება. ის საყვარელი იყო თავის მოწაფეთათვის, ყველას გულში სიყვარული შეჰქონდა, ყველა უყვარდა და ამ თვისების წყალობით იყო მარტო იშვიათი ადამიანი კი არა, იშვიათი მასწავლებელი.

რა არის საჭირო მასწავლებელისათვის?

უპირველესად მას უნდა უყვარდეს ის საქმე, რომელსაც ემსახურება.

მას უნდა უყვარდეს მოსწავლე, რომლის აღზრდა-განვითარება მისთვის მიუნდვიათ.

თვითონ უნდა იყოს სპეტაკი ადამიანი, რომ თვის პირადი მეოხით მოქმედებდეს მოსწავლეზ

ყველა ეს თვისება ერთ ადამიანში თავმოყრილი, მეტად იშვიათია და .მიტომ არი მასწავლებელთა შორის ძალიან ცოტა ეკუშა რიტი მასწავლებელი.

ყველა ეს თვისება სრულად ახლდა ალექსის.

თვისი საქმე მას ახალგაზრდულის გატაცებით უყვარდა და, როგორც სამაგალითო დარაჯი, სადარაჯოზე მოკვდა.

ყოველისფერს ივიწყებდა, ყოველისფერს მსხვერპლად სწირავდა საყვარელ საქმესა, დასვენება რა იყო, მოსვენება—მან არ იცოდა. ის იყო ანთებული ელექტარი, რომელიც იწოდა თვისი დიდი საქმის სამსხვერპლოზე, იწოდა და მხოლოდ საქმეზე ჰფიქრობდა, სანამ სრულებით არ დაიწვა

მასწავლებლის მოვალეობა მეტად მძიმეა; ის პირნათლად ზიდავდა ამ ტვირთს; ის იქან ცებოდა, მაგრამ ის არავის არ შესჩივიდა, რადგანაც დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს და ალექსი იყო მსხვერპლი, რომელიც საქეყნო საერო საქმეს ეწირებოდ..

რომ მკითხო, რა უფრო უყვარდა ალექსი—საკუთარი ოჯახი, თუ სასწავლებელი, პასუხისათვის ბევრი ფიქრი არ დამჭირდება:

— რასაკვირველია, სასწავლებელი.

სასწავლებელი ალექსისათვის ყოველისფერი იყო.

ალექსიც მთელ თავის არსებას, თავის ძალლონეს, თავის ენერგიას, თავის დროს თავის, სულსა და გულს სასწავლებელს ანდომებდა.

ოჯახში როცა იყო, მაშინაც სასწავლებელზე ჰფიქრობდა, სასწავლებლისათვის ზრუნავდა. სასწავლებელი ალექსისათვის წმინდა ტაძარი იყო, სადაც მისი სული სრულ კმაყოფილებას ჰპოებდა.

ვინ უფრო უყვარდა ალექს ს—მოსწავლე თუ საკუთარი შვილები?

რასაკვირველია მოსწავლე.

საკუთარ შვილებს ხშირად მისი ხილვა ენატრებოდა, ის-კი მთელ თავის დროს სასწავლებელს სწირავდა. მოსწავლენი მისთვის სულიერი შვილები იყვენ და ის-კი სულიერი მამა, რომელთათვის ზრუნვა პატრონობაში საკუთარ შვილებს ივიწყებდა.

მასწავლებელთა დიდი უპრავლესობისათვის მოსწავლე არის მხოლოდ მოსწავლე—მეტი არაფერი.

ალექსისათვის-კი მოსწავლე იყო ნორჩი ადამიანი, რომლის სულს შესწავლა გამოცნობა

უნდოდა და გულს-კი ლმობიერად, სიყვარულით მოპყრობა.

ალექსი ყოველ მოსწავლეში ეძებდა იმის თვისებურ თვისებებს, იკვლევდა იმის სუსტ, კარგ და ავ მხარეებს და ამის შემდეგ ზრდიდა და ავითარებდა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლის შესწავლა, იმის სულში ჩახედვა, გულში ჩაწდომა, მისი დამორჩილება სიყვარულის შემწეობით—აი ალექსი ჯიჯინაძე.

ის იყო იშვიათი ფსიხოლოგი მოსწავლის ბუნებისა, ის შედიოდა მოსწავლის ყოველგვარ მდგომარეობაში, იმის ყოველ დღიურ ცხოვრებაში და შუდამ იყო არა სასტიკი მტუქსველი, არამედ მშვიდი, წყნარი დამრიგებელი, რომლის ყოველ სიტყვაში მამობიური სიყვარული და მზრუნველობა იხატებოდა.

დიდ, ალექსი იყო ფიქრი, ხშირად სასტიკიც მათთან. ვინც იმის სულიერ შეილებს ისე არ უყვარდა, როგორც მასა სწამდა, ვინც სასწავლებელს მასავით წმინდა ადგილად არა სთვლიდა. ის ყველასგან ითხოვდა სიყვარულს, მსხვერპლს თვისი საყვარელი საქმის საყვავებლათ, თვისი საყვარელი მოწაფების საკეთილდღეოთ და როდესაც ამ სიყვარულს, ამ მსხვერპლს ვერა ჰხედავდა, ის მაშინ გულ მაგარი და მტკიცე იყო,

სხვისი აღმრზდელი—თვითონ უნდა იყოს ზრდილი.

ასეთი იყო ალექსი—მშვიდი, წყნარი, ლმობიერი, თავდაჭერილი, უმორჩილო,| გულკეთილი, ყოველად პატიოსანი.

აღელოვებს ფიქრები. მოთმინებიდან გამოსცლა მან მხოლოთ იშვიათათ იცოდა და ისიც მაშინ, როდესაც იმის საყვარელ საქმეს, იმის წმინდათა წმინდას უკადრისად, შეუფრებლად და გულკრილად ეპყრობოდნენ.

სხვისი მასწავლებელი თვითონ უნდა იყო ნასწავლი.

ასეთი იყო ალექსი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე თვითგანვითარებისთვის ზრუნავდა და მეცნიერებას თვალ ყურს აღვნებდა.

ეგმშარიტი მაუღლისშეილი, რომელსაც მშობლიური უყვარდა და მისი მომავალი სწამდა,—ის ალექსი, პატიოსანი, შეუპოვარი მოქალაქე რომელსაც გათვალისწინებული აქვს თვისი მოქალაქობრივი უფლებანი და მოვალეობა—აი ალექსი.

ცხრაას ხუთში მოძრაობის დროს მე თვითონ მინახავს, თუ როგორი კრებები იმართებოდა და რა ხდებოდა ალექსის ბინაზე ხონ'ში.

იშვიათი პედაგოგი, იშვიათი ადამიანი, იშვიათი მამული'შვილი ი'შვიათი მოქალაქე —აი ალექსი ჯიჯინაძე.

ივ გომბრთელი

ჩემი მოგონება

როდესაც სათავად-აზნაურო სასწავლებელში მიმიბარეს, ობლობის მთელი საშინელება მაშინ განვიცადე. მარტობა მაშინ ვიგრძნე. დედა შორს იყო, შორს; მისი ალერსი მისი ხილვა, მისი ხმის გაგონება, მის კალთაში თავის ჩადება, მის უბეში ხელის შეყოფა მენატრებოდა, მწყუროდა.

ამხანაგებმა ეს სენედ ვერ შემიმსუბუქეს, რადგანაც თავიდანვე ბავშვურის, გულუბრყვილო, უბორეტო დაცინვით შემხვდენ: ღეტიკელი, ხოხონიკო. მგონია მე მაშინ პირველი იმერელი ვიყავი სასწავლებელში.

როდესაც გავიგე, რომ სასწავლებელის მსახური ივანე რაჭველი იყო, თუნდა ბიძაჩემი დამენახოს. ვიცოდი, რომ რაჭა ჩვენი სოფლიდან ახლოს იყო და ივანეს მივიკვლელ. შემიყვარდა. იმასაც შეუყვარდი.

— როდესაც ქალაქში მივდივარ, თქვენ სოფელზე ამოვიღი ხოლმეო, მითხრა ივანემ ერთხელ.

ამ ამბავმა ხომ სიხარულით აღავსო ჩემი გული. მაშ იცავე ჩვენ სოფელში ყოფილა, ჩვენი სოფლიც დაუნახავს.

სიყვარულმა გამოთამამა. ობლობის და მარტოობის ტვირთი შემიმსუბუქდა. თვისუფალ დროს ივანეს ხან ზურგზე მოვახტებოდი, ხან კისერზე ჩამოვეკიდებოდი.

— აგერ მოვა ახალი ისპეკტორი და გაყურებიებს სეირს! გამომიცხადა ერთხელ ივანემ.

ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა, დამაღონა.

მე რომ სწავლა დავიწყე, პედაგოგიაში სიყვარულსა და პატივის ცემას შინა სჭარბობდა. მასწავლებელთა უმრავლესობა უფრო შიშით მოქმედებდა ჩვენზე ვიდრე სიყვარულით,

ამის გამო სილა ყბაში დიდათ იყო მიღებული, წკიპურტები და ყურების აწევა ხომ ლაღობდენ და ხარობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გასაკვირალია, თუ ჩემს თვალში მასწავლებელი უფრო საშიში ადამიანი იყო, ვიდრე საყვარელი.

ინსპექტორი მე არ მენახა. იმ ხანებში, როდესაც მე სასწავლებელში მიმბარეს, სასწავლებელი უინსპექტოროდ იყო დარჩენილი

მაგრამ ინსპექტორი მე უფრო საშინელ ადამიანთან მყავდა წარმოდგენილი, ვიდრე მასწავლებელი.

როდესაც ივანემ გამომიცხადა, ახალი ინსპექტორი მოვიო, არა თუ დავფრინდი, შიშმა ამიტანა...

სასწავლებლის კარიდორში ბავშვების ერიამფლისა გამო ერთი ალიაქოთი იყო.

— ახალი ინსპექტორი.

გაისმა ხმა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს მიწა უხმოთ გიიპო და ყველა ერთიანშათ გადაყლაპაო.

მალე გაიარა ახალმა ინსპექტორმა და სუყველას თავი დაგვიკრა.

ეს ახალი ინსპექტორი იყო ალექსი ჭიკინაძე.

ჩემი მოლოდინი და შიში არ გამართლდა. პირველი შთაბეჭდილების მიხედვით ახალი ინსპექტორი საშიში ადამიანი არ უნდა ჰყოფილიყო.

როგორცმოგახსენეთ, სასწავლებელში ცემატყეპა გამეფებული იყო. მართალია, სილას ყველა არ მიმართავდა ხოლმე, იყენენ ისეთი გასწავლებელნი, რომელთა ვანაკრეფ დროს ერთი წკაპუტრტიც არავის მოხვედრია, მაგრამ იყვენ ისეთებიც, რომლებიც სილას ერთობ ხშირათ ხმარობდენ და მეტათ დახელოვნებულიც იყენენ. მათი ხელის მოქნევა სისწრაფით სწორედ ელვა, იყო რომლის ტკაცანსაც მეორე ოთახში გაიგონებდით.

შემდგა თუ არა ალექსის სასწავლებელში ფეხი, სილა, წკიპარტებში, ყურების აწევა სადღაც გაიპარენ.

ამ მოულოდნელმა ცვლილებამ სასწავლებლის ცხოვრებაში ჩვენ იმდენნი გაგვაოცა, რომ ვეღარით ვერ ავგიხსნა, მხოლოდ შემდგ მიეხედი, რომ ეს ალექსის ბრალი იყო. რუსულ ენის მასწავლებლათ ახალი ინსპექტორი გეყოლებათო, გამოგვიცხადეს.

მე მოუთმენელათ ველოდი იმ დღეს, როდესაც ახალი ინსპექტორი ჩვენთან შემოვიდოდა.

ცოტაოდენ შიშს, რაღაც არა-სასიმოვნო, შემაწუხებელ გრძნობას განვიცდიდი მაინც ამ მოლოდინში, მაგრამ ეს არ იყო ძლიერი შიში.

პირველი გაკვეთილის შემდეგ კი შიშის ნატამალიც გაიფანტა.

ჩვენს წინაშე იდგა ახალგაზრდა ადამიანი, წყნარი, მშვიდი, უბოროტო სახისა. მისი ტკბილი, სამშური ხმა სრულებით შეეფერებოდა მის სახეს.

სწორედ ხუთი წელიწადი იყო ალექსი ჩემ მასწავლებელთან და ამ ხნის განმავლობაში მე არ მახსოვს, რომ ერთხელ ხმა მაღალი სიტყვა ეთქვას კლასში ერთხელ გაგვწყრომოდეს, ერთხელ აღელვებულიყოს, აჩქარებულიყოს გაკვეთილსის დროს.

მხოლოდ დარიგება იცოდა, დარიგებენ და კიდევ დარიგება, როცა ამგვარი ზომა სრულებით არა სჭირდა, ის მიმართავდა ხოლმე საყვედურს და იმის საყვედურში უზომო სიყვარული იყო გახვეული. ალექსის პირველი გაკვეთილიდანვე მოგვიხიბლა ამ სიყვარულით და ამის შემდეგ ჩვენც უსაზღვროთ შეგვიყვარდა ის. ხშირათ მთელი კლასი ცდილობს, პირობას ჰკრავს რომ მასწავლებელი გაჯავროს, მოთმინებიდან გამოიყვანოს.

ამ გვარი ფსიხოლოგია მოსწავლესი, რომელსაც სხვა საშუალება არ გააჩნია, სამაგიერო რითიმე გადაუხადოს მაბეზარ, უსიყვარულო მასწავლებელს.

ჩვენთან ალექსის არც ერთი ამის მზგავსი შემოხვევა არა ჰქონია.

ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ ჩვენს საყვარელ მასწავლებელს ჩვენგან არაფერი სწყენოდა და მისი გაკვეთილების დროს სრული სიჩუმე და მუყდრობა სუფევდა.

საზოგადოთ გაკვეთილების დროს საათი მეტათ გრძელდება და როდესაც ზარის ხმას გაიგონებ, გულზე მოგეფინება მოგეშვება.

ალექსის გაკვეთილებზე დრო შეუმჩნეველათ გადიოდა, რადგანაც ის მუდამ ლმობიერი მუდამ მოსიყვარულე აყო და ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგრძნობდით ამ სიყვარულს.

რუსულს ალექსი გვასწავლიდა ქართული ენის შემწეობით, უმეტეს დროს გაკვეთილის ახსნა-განმარტებას ანდომებდა და, სახლში როდესაც ვბრუნდებოდით, გაკვეთილი თითქმის მზათა გვქონდა.

ალექსი მარტო მასწავლებელი არა ყოფილა: ის იყო მზრუნველი მამა, რომელიც საკუთარ შვილებზე, შესაძლებელია, იმდენს არა ფიქრობდა, რამდენსაც ჩვენზე.

სათავადაზნაურო სასწავლებელში ჩემ დროს ოთხი კლასი იყო და მესამეში რომ გადავედი, მეოთხე დახურეს უსაღსრობისა გამო.

სასწავლებლის გათავების შემდეგ მოსწავლენი გზა-კავალ დაბნეულნი რჩებოდნენ; გიმნაზიაში შესვლა მაშინ იშვიათს თუ ეღირსებოდა, დანარჩენები ან პატარა მოხელეებთან შევიდოდენ სადმე ან მუშაობლაბიათ და გამოუსადეგარ ადამიანთა რიცხვს ემატებოდენ.

მიუხედავთ ამისა, რომ მეოთხე კლასი ჩვენი ცხვირის წინ მოსპეს უსაღსრობ სა გამო, ალექსის იმდენი იმეცადინა, რომ ბანკის ხარჯით მესამე კლასის გათავების შემდეგ სულყველა სურამში წაგვიყვანა გიმნაზიისათვის მოსამზადებლად.

იქ ჩვენ გვქონდა საკუთარი სადგომი და გვყავდა საკუთარი მზარეული.

ჩვენი მასწავლებლები იყვნენ ალექსი, ექვთიმე თაყაიშვილი და განსვენებული გრ გძელიშვილი.

სასწავლებლის ეზოში მდინარე ჩამოდიოდა. ალექსიმ გაგვაკეთებინა სამანეო და ყოველ დღე თვითონ მიეყვანდით სამანეოთ. გაკვეთილების შემდეგ ხშირათ წაგვიყვანდა მინდერათ და ტყეში სასეირნოთ და გვესაუბრებოდა ხალმე ხან ჰიგიენის, ხან ბოტანიკის შესახებ, ხან ისტორიიდან და სხვა და სხვ.

მიუხედავთ ამისა, რომ ცოლშვილი ალექსის სურამში ჰყავდა, უმეტეს დროს ჩვენთან ატარებდა და მასთან ყოფნა, მისი ხილვა.

მისი მუსაიფი ჩვენს მოთბოვნილებათ გადაიქცა,

აგვისტოში, როდესაც ეგზამენების დრო დადგა, ალექსიმ თვითონ წამოგვიყვანა თბილისს და დაგვაბინავა სასწავლებელში, რომ ეგზამენების დროს, უფრო ეგდო ჩვენთვის ყური.

ეგზამენების ჩვენ ყველას ძალიან გვეშინოდა და განსაკუთრებითაკი რუსულისა, რადგანაც გიმნაზიებში ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენზე იქაურ მასწავლებლებს, თითქოს ჩვენ ტყიდან გამოვარდნილი ვიყავით და რუსულისა ინჰი არა გვესმოდარა.

ალექსი ყოველთვის გვამხნევებდა, თვითონ მიგვყვებოდა ეგზამენებზე.

იქ გვიცდიდა და გამოვიდოდით თუ არა გამოსაცდელი ოთახიდან, მოუთმენელათ გვეცემოდა:

— აბა რა ჰქენით, ხომ არ შემაცხვენეთ? და როდესაც დამშვიდებულ პასუხს მიიღებდა, მისი სახე გაბრწყინდებოდა ხოლმე.

იშვიათი მამა დასდებს იმდენს ამაგს, რამდენიც ალექსიმ დაგვდო და ის მით დაკმაყოფილდა, რომ თვალსაჩინოთ გიმპარჯვა:

რაკ კაცს გვამზადებდა და ერთის გარდა სულყველამ ჩინებულათ ჩავატარეთ გამოცდა, ყველა მიგვიღეს გიმნაზიაში.

სიყვარულის ის ლამპარი, რომელიც ალექსიმ დაანთო თავის მოწაფეთა გულში, აღარ ჩამქრალა და არც ჩაქრება სანამ მისი მოწაფენი სიფლავში არ ჩავლენ.

არა, მაშინაც აღარ ჩაქრება,—შვილებს გადასცემენ, რომ მათაც იცოდენ როგორი ადამიანი იყო ალექსი ჰიკინაძე.

მე კი, ჩემო საყვარელო, ჩემო ტკბილო მასწავლებელო, გეფიცები, ვსტირი, როცა ამასა ვსწერ შენს შესახებ.

დაიღუპოს ადამიანის გაჩენა, თორემ რა-ტომ არ უნდა ეგდგა შენს პატიოსანს, სიკეთით აღსავსე გულს კიდევ დიდხანს, დიდხანს.

როდესაც შენ შემოგხედავდი, მომაგონდებოდა შენთან, შენს კალთაში გატარებული ტკბილი სიყვარულით გამთბარი დრო და გული სიამით მევსებოდა. შენთან ერთათ ეს სიხარულიც გავჭრა.

სხვა ალექსი მე აღარ დამრჩენია.

ეკ. ...

ნიკო გოცირიძე

და მისი მოღვაწეობა სახალხო თეატრის სცენაზე

20 წლის სახალხო მოდგაწეობის აღსანიშნავად დღეს, შაბათს, თეატრიდან 4 სახალხო სახლთან არსებულ ქართველ წარმოდგენების მმართველი წრის გაგებობა სალგალსწავლოდ წარმოდგენის უსრულოვს თავის ერთგულს და ხალხის სიყვარულს სცენის მოყვარეს ნიკო გოცირიძეს

1896 წელს, როდესაც ჩვენმა ინტელიგენციამ ნელ-ნელა ფეხი შესდგა სახალხო თეატრის სცენაზე, დაკუტრონა მუშაობისგან შექმნილი სახალხო სცენის, რომელიც ხელოსნთა ამხანაგობის სახელით 1893 წლიდან უკვე გრძობდა ამ „ხელოსნთა ამხანაგობის“, ინტელიგენტთა ამ შესვლის შემდეგ დაეტყვა თეატრალური სეზონი“ ამ სეზონიმ უკვე არსებულ სცენის მოყვარეთა კერძო ფიზიკა სხვა სცენის მოყვარენიც და სწორეთ ამათ რიცხვში ერია ნიკო გოცირიძე, რომელიც ამ დღიდან მოკიდებული დღეკანდლამდე შეიქმნა მისი ერთგული მუშაკი და სახალხო თეატრის ნამდვილი ბურჯი. ნიკო გოცირიძის მოხალისეობის და დაკვირვებული თამაშით სახალხო თეატრში ბევრად კასდა ნაბიჯი წინაკ თუ ქართველ სცენის გასი ანაშიწე ამშენებდა, სახალხო თეატრს ნიკო გოცირიძე მოეფინა დასაშენებლად.

ამ ხნის განმავლობაში თუალი რომ გადავლოთ წარმოდგენების მსვლელობას, თუ რომელ სეზონში რამდენი პიესა დადგმულა, ეშეკითად შეგვეფლება ისეთი ბრაგრაფა, რომელშიც ნიკოს არ მიეღოს მონაწილეობა. ნიკო გოცირიძეს, სცენაზე მონაწილეობის კარგა, უფრო მაგრე მოგადლობა აქვს, ეს იყო რეჟისორობა ავტორობის ადგილზე, რომელის ბატონ ვა ეროწრო სცენის ბევრი ჩვენი ინტელიგენტი გაბუბრდა ან და თუ დასთანხმდებოდა—ისიც ცოტას ხნიან, ხან სულ ადარეყენ მოგეგეკრებოდა და ეი ნიკო გოცირიძე მზად იყო ეკისრა ეს მოგალდობა სხვის მაგიერად. შემდეგ კანონდებოდა მოთიბეობა სცენის მოყვარეთა ზოგის და ეგეზედ უფრო მეტი ზრუნა და ხნიანი რეჟისორობა ნიკოს შეუგალებდა. მაგრა ნიკუშა და სასტენი უნარმა მაგე ეურადღება მიიქცია; ეს იყო მიზეზი რომ თბილ. ქართ. დრამატიკოსებმა სასტ ამ თავის დასში მიიწვიეს, ეგრეთვე მიიწვიეს ქუთაისის დრამტ. სასტ-ბამ ბაკრამ, მიეუდგენდ ამბის, რომ აქ სასეიდეფი მოგდიდ, ნიკო გოცირიძეს მიინე სახალხო თეატრში უფრესად ირნია და დაჩრნა ორა მსახიობად დიდი თეატრასა ორანეგ ისეეგ სცენის მოყვარეგ სახალხო თეატრისა. და. ა.ი, ეს ორის რომ უფრო ამბდგენს მის დირსებასა და სახელს

სახალხო სცენა და ნიკო გოცირიძე—ა.ი, ერთი მთელი, რომელიც, ს.ერ.ნ.ოვ.ბ.ს, რომ ქვეშმა და ადამმა ორ ამოაყენა ის მიდი, სიადანაგ ამეფის ეუკარ კაგმოხრილ.ოვ.ბ.ს.

ნიკო გოცირიძეთ მოდგაწეობა მარტო თბილისის სახალხო თეატრის სცენაზი ორ განიაზ-ფერ.ბ.ს: მას კარგად იცნობენ ჩვენი ფაბა-სოფ.ლების მეხოგრეებნიც, რომელის ბატონ და ვაწ-ერა სცენა ნიკოს ბეგრეგერ დაუმშენებია თავის მოხდენილი თამაშით. ვუსურეგეგ მეტ მხნ-ობის: რომ სახალხო თეატრის მსმენელი კიდეგ ბეგრეგერ დაჩეკბარიეთ მისის თამაშით, ვისურ-ვეგ რომსახალხო თეატრს ორ მოაკლდეს ამი-სთანა ბურჯი, როგორიც ორის ნიკო გოცირიძე.

გიორგი ჯაბაური



ნიკო გოცირიძე, რომლის სასცენო მოღვაწეობის 20 წ. შესრულებას სახ. წარმ. მმართველი წრე შაბათს თებრ. 4 დღესასწაულად, დაიბ. 1873 წ. ბარიანმობისთვის 6. სწავლობდა სახელოსნო სასწავლებელში, მაგრამ აქ კურსი არ დაუმთავრებია, პატარა როლებში მესრულება დაიწყო 1890 წ. 1896 წ. სახალხო თეატრის (ავმალის) აუდიტორიაში მიიწვიეს. 1897 წ სახალხო სახლში და მას შემდეგ დაუფლავად მოღვაწეობს აქ სრულიად უსასყიდლოდ. მისი როლებია ალიფა, საკი, მაზუთინი, ალიმ , კობეს, შმაგი დ.სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო გოცირიძე სხვა და სხვა როლში 20 წ. მოღვაწეობის გამო

მტირე ნობათი

ნ. გოცირიძეს

შევალ ბაღში, ჩემ ლურჯ ბაღში,
ყვავილს დავკრებ ათასნაირს;
ძნის სხივებით შევკრავ ვეარგვინს.
შ-გ ჩავ-წნავ უკვდავ შარს...
დავ-ბარებ ტყის ფერიებს,
ავამღერებ ვარდის ფლითა,
და გალობით შავ ღედოფალს
ტახტზე დავსვამ თეთრ მანდილით...
ვარდ-ზამბახებს ავაყვავებ,
სურნელს მოვთხოვ ყვავილთ წყებას:
სიმწუარეს უკე ვეგდებ,
მივცემ მუდმივ დავიწყებას.
და ოცნებით წამოვიდგ
ძნის ქვეყნიდან თეთრ სამკაულს;
ამით მინდა შევხვდე ღიმით
სიზიმო ღვთისსწავლულს!..

ი. დაროშვილი

სადა ხარ სადა?!

სევდა-ალეშანს მოუცავს არ,
ღამეა ბნელი, ღამე უმთვარო...
ძილს მისცემია ქალთა სავანე,
ძილს მისცემია მთელი სამყარო...
მე კი არ მძინავს.. ვზივარ სარკმელთან..
სულსა მიხუთავს ფიქრები ბნელი..
არსით მესმის ხმა სანუგეშო,
და ჩემს თვალებში ცრემლი კრთის მწველი.
სადა ხარ, სადა, ჩემო სანუგეშევ?
მო, დამანახვე სახე მზიური,
და ცხოვრებისგან გ ნაწვალებსა
მსმინე ჰანგი ზეკვეყნიური..
ბროლის თითები ჩამოჰკარ სიმებს,
ბროლის თითებით ჩანგი ამიწყე..
ერთს წუთით მინც მაშორე სევდა,
ერთს წუთით მინც გადამიეწყე..
გიხრობ... გიყვარ.. მაგრამ ამაოდ..
ჩემი ძახილი შენ ვერა გწვდება..
ნუ თუ ბედკრული ისე მოგკვდები,
რომ ერთხელ მაინც ვერ ვიგრძნო შვება?!

კ. ძიძიგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნების ბრძოლებში

ავტორი პიესისა მიხ. ბოგორიშვილი.

სოფლელი ხუთ მოგზებებად მიხ. ბოგორიშვილისა

ხვევ სურნელებით ირის გაღვენთილი. კურთხეულ იყოს გაზაფხული.

ხუსანა, წარმოიდგინეთ ეხლა, აი ამ-წუთს ქალაქი, ეტლების ხრიალი, მტვრიანი ქუჩები და უთავბოლოდ მოფუსფუსე ხალხი. არა ბატონებო, დიოგენმა დროზე შეიგნო ბუნების მშვენიერება, რომ სამუდამოდ დასტოვა ქალაქი და აქ მოაშურა ბუნების წიაღს.

ლიზა. ოთახს რომ არა სცილდება? იგი აქაც მოწყენილია ბუნებას:

გიორგი. გიკვირთ განა? ბრძენ დიოგენს ბოჯკაში ჰქონდა ბინა.

ხუს. განა შეიძლება გამოურკვეველი ფიქრები ქენჯნიდეს სულს ამ მშვენიერ სალამოს? ალოლ! რად ზიხარ განმარტოებით?

ალოლ. (კენწებს ისვრის მდინარეში) შეკითხვასვე მეკითხები დამდგომ ძმაკაცს ბასკეს; მე მიყვარს მარტოობა.

გიორ. ყმაწვილებო! ვადღეგრძელოთ ალოლი და მისი მარტოობა.

ლიზა. ალოლ! იყავ ბედნიერ.

შამ.)

ხუს.) სციცხლობდე ალოლ

გიორ. ალოლ! გისურვებდი, რომ ყმაწვილური სიმშვიდე შემოკრილიყოს შენს მარტოობაში და გულის სიღრმეში უსაზღვრო მხიარულების კოკონი ალენთოს.

შამ. (ფანჯარა სავსე ჭაქის მიეტანს ალოლს)

შეეახეთ თქვენი ნაზი ბაგე! გამხიარულდი, ბუნებას არ უყვარს მწუხარება.

ალოლ. (ფანჯარა მოსდგამს) მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე მეგობრებო! გამოგიცდიათ თუ არა თქვენ, რომ ხანდახან ნათელი ღამე სულის, სიღრმეში მწუხარების სხივებს შეაპარებს?

ხუს. ვიმღეროთ რამე.

ლიზა. (ფანჯარებს) Душа моя мрачная ..

გიორ. ქართულად! ქართულად! არა ბატონებო! რად გსურთ მიდამოს ნაღველი მოჰფინოთ უცხო სიმდერით? ამ არე-მიდამოსათვის უცხოა ასეთი სიმღერები. იგი შეჩვეულია მკვნესარე „ურმულს“ და „ორაგულას“ უთუოდ ქართულად უნდა ვიმღეროთ, ქარ-

ავტორი პიესისა მიხ. ბოგორიშვილი.

მომქმედნი პირნი:

1) დო, იგივე დიოგენი. ეშმაკნაკადა. მასი სახე უსაზღვრო მწუხარების გამომხატველია. ალისფერი ან ალმოფფიდების.

2) ლიზა, დიოგენის და, 17 18 წლის ბიჭიანი. ა მხიარული ქალი.

3) ოვბროლე. დიოგენისადგან დრმად მოსულებული.

4) გიორგი, 45-50 წლის. შემამეული მოანტელიგენტრო, ქეიფის მოყვარული.

5) ალოლ, გიორგის ძმისწული, ახალგაზრდა ფერმკრთალი ქალი.

6) შამშე, (ტეტანტა.) სოფლად სასკოლოდ

7) ხუსანა, (მასწავლე) ორანა მოსული

8) მონაბონი, ქალი.

9) ალოგონ, ახალგაზრდა კაცი

10) ალბა, ხანში შესული კაცი

11 ბიოლომე, მოსული კაცი

ახალგაზრდა კაცები და ქალები.

მოქმედება სწარმოეს სოფლად, რამდენიმეოვასად ჯერ კიდევ უცნობ ქალაქის ზნე ჩვეულებანი.

მოქმედება პირველი

ეკარტლბეგი მდინარის პირად. საღამოა. რამოდენიმ ხნის შემდეგ ხეების მწვერვალებიდან მთვარის სხივი ჩადმოანათებს და ტოტების ჩრდილიმიწაზე დაეშვება განმარტოებით ხის ალოლი და მდინარის სიღრმე გადასცქერის, სხვანი მწვანვე მოლზე სხეფდან და ხილსა და ღვინოს შეექცევიან.

I

ალოლ, ხუსანა, ლიზა, შანშე და **გიორგი**

შამშე. რა საუცხოო საღამოა! საღამაც შორს გრძნობით სტვენს იადონი. მდინარის შუბეიქეა ნაპირის კალთებზე ისე გაისმის, ვით იდუმალი შრიალი ნიავი შეთოთოლებულ ფოთლებსა. ჰაერი თავბრუ დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოლად უნდა ვიმღეროთ, ქართულად.

შამ (ადგება) გვიმღერე რაემ. შენი ნარნარი ხმა აგვიშალოს გრძნობებს და შესაძლოა მიწის წიაღზე ცრემლებიც დაგვფრქვევინოს, მაგრამ რომ იცოდეთ თა ნეტარებაა, ხოლ ამ მუსიკის ხმებზე ცრემლებით იფრქვევა სულის სიღრმიდან სევდა-ნაღველი!

ალოლ. ჩემი ბაგენი უტაყვია ამ ქომად, ვით მდინარის სიღრმეში მონავარდე ორაგული.

გიორ. სიმღერისთვისაც ხვეწნა-მუდარა გვირდებთ რალა? ამა მიყურეთ! (**დაწყებს**) „ყოველ სნეულებზე სიყვარული ძნელია...“

ეველინი. (იცინიან) ხა! ხა! ხა!

ლიზა. ჩვენ გვაშლის, დანეღრეული ხმით ბრე-მიდამოს ნუ ნუ შეურაცყოფთ და თვითონ-კი...

ალოლ. ნუ დასცინი ძიას.

გიორ. (**მიდის ალოლთან**) რას დაღვრემილხარ! წადი, იმხიარულე. მე უნდა ვსტიროდე ჩემს დაკარგულ სიყმაწვილეს, თორემ შენ რა?

ლიზა. (**დაწყებს და სხვებიც ეყვებიან**)

„შეგიშრობ ტრემდთა ჭირთ მანელებულს
გულს დაფეგვა დასანტრებულს
და ამის ფერფლს, ვითა ხაშეკეულს,
შეგსწირავ სატრფოს ჩემსა სამდგელედ“.

ალოლ. (**მოშორდება მდინარის პირს და ეკიდნა შეოყეკეგა ლიზას**) ნუ! ნუ! ჩემო კარგო! რალაც მიწყლულებს გულს! (**ქვითინით**) რა ვქნა მითხარით. ოჰ, რა მძიმე ლოდივით მაწევს სევდა გულს ოჰ, ღერთო! ღერთო!

გიორ. რა გემართებათ? რამ წაგართო სულის სიმშვიდე!

ალოლ. სული ვალალებს! მეგობრებო! მაპატიეთ, რომ თქვენს სიამოვნებაში მწუხარება შემომაქვს. რაღაც გამოუთქმელი სევდა სერავს გულის სიღრმეს

სუს. (**ლიზას ხმა დაბდა**) დიოგენის მოლოდინში სანთელივით დნება მისი სული

შამ. ის კი არ მოდის?

ლიზა. ვინ?

შამ. ვისი დანახვაც გაფანტავს ალოლის ეველას.

II

იგანიგენ და **საბა**

გიორ. მოუხვიე საბა! ველარ დიმილები.

ლიზა. საბას გაუმარჯოს, საბას!

შამ. ვინ არის.

საბა. (**წელში ნაკეთი. მათ დანახვაზე ქუდს იხდის თავისოვის**) ვერ გავეპარე ამ შეჩვენებულებს? (**ხმა მაღდა**) ბატონებს სალამი!

გიორ. საით შენი მგზავრობა?

საბა. შინისაკენ შენი, პირიმე.

გიორ. სტყუი!

სუს. აბა სად უნდა წავიდეს?

გიორ. სიბა ვერ მომატყუებ. აი, გადაჭარ ღვინო და მითხარი სადი მიდიოდი?

შამ. რას ჩაკვიდიან ამ მოხუცს? გეუბნებათ, შინ მიდიოვარო.

საბა (**დგინოს სვამს**) ღმერთი გეწყალობდეთ, სამს სამოცდა ხუთი წლინდა გიორგი, მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოსი, მისი დიდების პირიმე.

ლიზა. საბა გრწამს ღმერთი?

საბა. რა ბრძანებაა! ღმერთი და ხატი ვის არა სწამს, მთი დიდების პირიმე!

ლიზა. მერე ხატი რომ მოატყუე?

შამ. როგორ, თუ ხატი?

სუს რაო?

საბა. (**თავისოვის**) აი, მეხიკი დაგეცა მაგ ენაზე! ჰმ!

გიორ. იცით როგორ მოატყუა საბამხატი? მეზობელს შეედავე შეედავ. საღლეხო სასამართლომ ფიცი მიუსაჯა. რა ქნას საბამ, კარგად იცის ადგილი მას არ ეკუთვნის. და, აი, ბატონებო; საბამ შემდეგ ხერხს მიმართა. შეიკერა სრული ქალამნები, ჩაჭყარა შიგ თავისა საკუთარი ეზოს მიწა, მივიდა სადაო ადგილზე, სადაც ხატი მისაფენეს და დაიფიცა ჩემს მიწაზე ვსდგევარო.

ეველინი (**იცინიან**) ხა! ხა! ხა!

საბა. იმ ხატის ძალი და მადლი გაუწყრეს ვინც ეგ მ. მიგონა.

გიორ. წაწყლიენი საბა! ამინ გეტყვი შენ, რომ ჩემთან იქნები ჯოჯოხეთში.

შამ. ხა! ხა! ხა! დიდებულია! დიდებული.

გ.ორ ეხლა საბა გიღაცის ტყეში მიდის ხის მოსაპრელად, მაგრამ მიფრთხილდი საბა!

აქეთ ჩემი ადგილებია. ჰა, გადაჰკარ და წადი, ჩემ ტყეში კი ფეხი არ შესდგა.

საბა. თქვენს დაუკითხავად ტყეში ფეხს როგორ შეესდამ, მაგრამ შენი პირიმე, შენი სულის საცხონებლად თქვენს ტყეში ერთი გამოფუტურებული ცალხვის ხეა. ძალიან მიუგალი ადგილია. ვერავინ ვერ მოიხმარს, მე კი ვუბრალებ რასმეს. შენი მუხლის პირიმე თუ შენს სადღეგრძელოდ მიწყალობს! (შუბლს მოადრეკს)

გიორ. რადგან თვალი მოატანე, სულ ერთია, შენი ნაჯახის პირი არ ა

ვთოვე სიმშვიდე სულის, მომშყენდა ტკბილი, უდარდელი ცხოვრება, მომშყენდა თქვენ შორის ყოფნა, მაგრამ ალოლ! შენი სახე-კი ხშირად შემოიჭრება ჩემს მარტოობაში და მაშინ ვფიქრობ, რომ კიდევ მაქვს რაღაცა საერთო თქვენთან. ოჰ, ალოლ! ალოლ! (ადგება დგინით სავსე ბოთლს და სვამს).

გიორ. რა რაგ ეშამო კაცთა ამაოებას! ვერ გასცილდები, სჯობია ისევ ტკბილ საყმაწვილეს დაუბრუნდე.

დიოგ. დიახ; მე ვგრძნობ, რომ ამოოება ვარ, მაგრამ მსურს შეეგეშნო ისეთი ამაოება. რო მან მეცნიერების ყურადღება დაიმსახუროს. (სვამს დგინს)

ალოლ. რას სჩადით! დაითვრებით.

შამ. (დაზასთან სვარნას სგენის კანაკადე) ჩემს სიცოცხლეში არ დავიწყებ ამ ღამეს.

დიოგ. ჰეი! იცით, რომ შუა ღამისას გაშლილი ყვავილი მზის ამოსვლისთანავე სიცოცხლეს ემშვიდობება?

სუს. რა საუცხოოდ ამღერებდით სალამურს?

დიოგ. მე და ჩემი სალამური ვსტაროდით ჩვენს მარტოობას, ჩვენს დამწუხრებულ სიყმაწვილეს. ალოლ! მიმღერე რამე (დადგდიდ ბოთლს მდინარეში კადაისვრას და სავსე ბოთლს ამოიღებს კადთოდან) მინდა დვითვრე, მსურს მივეცე თავდავიწყებას, მაგრამ რით? ღვინო ალარ მოქმედობს ჩემზე.

გიორ. დაგლიოთ! დავლიოთ! (ისიც სვამს).

დიოგ. ვსვამ მაგრამ ამაოდ! ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია ხელოვნურად მიდწეოს თავდავიწყებას. მითხარ როგორ ბავშვი ცხოვრების სიმწვავეს ამოდენ ხანს, რომ ეთმა მსელელობამ მოეერაცხლოდ თმით შეგიმკო თავის ქალა? ალოლ! მიმღერე რამე!

ლიზა (კადახვევს ხელს ადდგას და სუსანს) ვიმღეროთ (დაიწყებინ):

მაამახსდოგდი, მაამეგრდნე მკერდზე,
დაეწყვე, დაეფერფდეს ენების კოტონზე,
კადაგვაგრძნეს ხუუუუ დადადებს,
კადაგვაგონეს მიბნედადს თვადებს..
რის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყინდა კიდეც, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ კვლავ დამიღერებთ სალამურზე და დაგვიტკბობთ სმენას. წავიდეთ!

ლიზა. მარტო დავეტოვოთ დაო?

შმ. ალოლა დარჩეს მასთან. ერთიდ წამოვლენ შინ.

გითო რა მენაღვლება, მაგრამ.. (შიდგას ხელი ხელ ჩაკიდულნი კეთრგი კალთას ზურგზე აკიდეს და მიდის. დიოგენი მარქვე დაშრობა და პიუზა.)

ალოლ წავიდეთ!

დიოგ. (წამოიწურება ფეხზე და ხელს ხვეტს, ადიდა სტდიდობის თავის კანთავისუფლებას დუშიდი) გესმის აჩქარებითი სუნთქვა? ეს ველური გამოძახილია ენების ბრკეალებში მომწყვდეულ სულის (კიბენის)

ალოლ ეს ნუ იქნება (სტდიდობის თავის კანთავისუფლებას)

დიოგ. სიცოცხლეო! რატომ ნუ იქნება. მოვიკლათ ენების წყურვილი. ალოლ! არც ისე სუსტია ჩვენი სიყვარული რომ კოცნის სიმხურვალე ვერ აიტანოს.

შორით ხმები. ალოლ! დიო! გამოიარეთ.

ალოლ. (შეკრთება) წავიდეთ (ისმის სიმღერა: „ჭირვედ ჭედის ბირად“ დუშიდი. ისინი ისე შესცქერან ერთურთს, თითქოს თვალებით უმბობენ რადაც ილუმად ამბავს, მაგ თვალებში თან და თან დაეგდება ენების ნაპეტრწყალი, თრთიან, ცახცახებენ.. დიოგენი კაშშეგებით მიეკრავს ეუფლეზე ადიდს. ალიტენის ხელში და, ვეთ უმწეო მსხვერპლს, ტეის სიდრმეში კიატცებს. შორით მოისმის ხმები: ადიდ! ადიდ)

ფ ა რ დ ა.

(გაგრძელება იქნება)

ქართული ოპერის მუშაკნი

ა. ვ. კურბატოვი

სიოპერო ტენორი, სტენაზე მონაწილეობს 1910 წლიდან, თუმცა ტფილისი, ქართული ენა ამიტომ ან შეისწავლა, რომ ქართველად მეფერის. 3-4 წ წინად განსვენებულმა კ. ს. ცხოვრადაქმ მიაწვია „ქართული ოპერის ამხანაგობა“-ში სადაც ბევრითად მუშობდა და ახლაც თავგანმოდებით მეცდინეობს ქართულ ოპერის სასიდორძანებლად. ქართველად მიმზადებული აქვს ადფერელი (ტრანიატა), ჭერგოლი („ოთელოტა“) ჭერანდი („ლაკმე“), ხოდო რუსულად თოროშეტრიდ ბარტია. საუკეთესოდ გაწყვეტილა. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დასა-ქალაქის სადმოგეში მონაწილეობის მისაღებად. საკონცერტო განეფიფლებში ქართველად ხალხურნ ოპერებიდან რაკეფესამე ეროის შესრულებს.

ნიკო ბოცირიძე
(შარჟი მ ჭეიურელის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტის ნალეთებში

ზამეგის ასული

მაშინ, როდესაც ყოველი მოსვენებას ეძ-ლევა და მთელი ქვეყანა ერთ დიდ სასაუ-ლაოს წარმოადგენს...

მაშინ, როდესაც უკუნით წყვდიადს ფრთე-ბი გაუშლია და ღამის ყრუ სიბნელე აქა-იქ გ ისმის ჭოტის გულის მომწყველი ძახილი, საიდგან-ღაც გაჩნდა ის ჩემს წინ...

თოვლივით თეთრი, ლერწამივით მოქ-ნილი ტანი სოცნებით ირხეოდა...

გრძნეული სახე ნათელს ჰფენდა იქაუ-რობას. დიდრონი, ჯადოსნური შავი თვალები ცეცხლის სხივებს ისროდნენ..

თავი მას ეკლებით ჰქონდა შებურვილი და დრო გამოშვებით მოისმოდა მისი ყრუ ამო-ნაკვნესი...

გაშლილ, ბამბასავით თეთრ შუბლზე ნათ-ლად გამოჩენოდა სისხლის წითელი წვეთი...

— ჰოი, ზამეგის ასულო, რომელსაც დაგ-ეძებ მარადის!. თავი ჩემი შეიწირე მსხვერპლად. მითხარი და მეც მზათა ვარ! ალლვებით შევძახე მა და ხელები თავისკენ წავუდე, რომ ეკლე-ბი ამეცალა მისთვის...

მაგრამ ის მსწრაფლ გაჰქრა!.. გაჰქრა...

შამმა წყვდიადმა სადღაც გაიქანა...

სადღაც დამაყო ის...

უკანსკნელად მხოლოდ ეს გავიგონე:

— „მე მოვალ მზესთან ერთად... მზე სთან ერთად მელოდე მე.

და ყოველთვის, როცა ზღაპრული აღმო-სავლეთი ოქროს ფრად იღებება და მისი მშვე-ნიერი სუროთი თავს ამოჭყოფს, მე მუდამ აქ ვიბადები...

ვეკითხები მზეს...

ვუცდი წამების ასულს..

მაგრამ მზე მუდამ მოდის და ის კი არა...

მე ყოველთვის დავეძებ.., ყოველთვის ვეძახი მას...

ნეტავი როდის ვიხილავ...

როდის მოვა ის !?.

ლ. ძიძიგური

შავი ზღვის ნაპირას

(„დარია ქიანარეულ“-ს ჰანგზე დაწერილი; სიმღერაში ყოველ ტაგის პირველ სამს ამკარს თითო მარცვალი ემატება. გამოქმეულია 20 წ. წინად).

შავი ზღვის პირას ჩვენი ქვეყანა, —
მის მსგავსი კიდევ იქნება განა!
იქ უოქვამს ჩემივის დედა ჩემ ნანა,—
ბალში სუმბული, გალობს ბულბული,
ვარდის ერთგული, ტურფა არსება!..

შავი ზღვის პირას ჩვენი ახლები,
ძველთგან ძველები—არა ახლები,
ახლა იქ დგანან ჩვენი ძმახლები,—
ჩვენია ბრალია, დავკარგეთ ველი,
აღარც გვაქვს ძალი, წაგვართვეს ნენ !.

მამა ჩვენი თვის ძმას გიყვარა,
არც ერთს კეთილი არ დაეკარა;
მით მტერმა ჯავრი ამოიყარა,—
ფუ, ჩვენს კაცობას, მხდალ-დიაცობას,
მეორ-მამაცობას არ ეკადრება!..

მამა მოგვიკვდა, დავრჩით ობლადა,
დედა სხვას გაჰყვა პორის მტრობლადა,
ჩვენი საქმე არ მიდის მწყობლადა
ბედი გაგვექცა, სახლი დაგვექცა,
ცხენი წაგვექცა—ველარა დგება!..

სახლი გავეშვი და მე მოვედი,
იმ დღიდან დღემდე ვიწყევლე ბედი,
შვილო, შენა ხარ ჩემი იმედი,
ბალში ვარდები—გამეზარდები,
გულში დარდები აღარ მეძნება!..

ახ, როს იქნება დაგვიღგეს დარი,
გვეღირსოს ჩვენი სახლი და კარი!
არ მისცა ჰაზრის არავინ მხარი,—
ფიქრი აწვალებს, იხმარეს ძალებს,
თავს ანაცვალებს მისთვის მოკვდება!..

ჰაზრი

ნიკო გოცირიძე საქოს როლში (მსხვერპლი)

წვრილი ამგები

◆ **აკაკის გარდაცვალების** ორი წლის თავის შესრულების გამო, ცხრა მთას იქით გადაკარგული, ოთხ-კედელ შორის მყოფნი ქართველი კატორღელები მუხლს ვიდრეკთ დიდებული მგოსნის აკაკის გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე.

ჩვენ ცოცხლად დამარხულებსაც თვალწინ გვიდგას მისი მაღლიანი და საყვარული სახე დიდება იმ ერს, რომელმაც წარმოშვა ჩაგრულთა მომღერალი ჩვენი აკაკი.

ქ. ნიკი-ნოვგოროდის ქარ. კატორღელების მონდიმილობით ვალ. ოხრობეთელი

◆ **ქარაფული თეატრის** აღმადგენელი კომიტეტისა და ქარ. ფრთ. სახლის გამგეობის შეერთებული სხდომა გაიმართება დღეს.

◆ **ვალ. ვუნაის 35 წ.** მოღვაწეობის იუბილეს მომწყობმა კომისიამ უკვე შეიმუშავა პროგრამა. დღესასწაული გაიმართება დილით და საღამოთი, დანიშნა დღე—მარტის 19 ანუ აპრილის 9 (არჩევნი თვით ვ. გუნიაზეა—რომელ დღეს ისურვებს).

◆ **ნიკო გოცირიძის 20 წ.** სახალხო სცენაზ მოღვაწეობის „სამახსოვ. წარმოდგენა გაიმართება დღეს, შაბათს თებერვლის **4**, სახალხო სახლში.

◆ **ქარაფულ ფარეხაძის გამოფენა** დაიხურება მომავალ კვირას, თებერვლის 12.

◆ **სოფეი ხელოვანთა საზ-ის** სურათების გამოფენა გაიმართება თებერვლიდან გოლოვინის პრ. მილოვის მოდახიაში. გამოფენა საყურადღებო იქნება. გამოფენაში მონაწილეობენ ჩვენი მხატვრები მ. თოიძე და ლ. გუდიაშვილი.

◆ **ფალვა დადიანს** დაუწერია ახალი კომედია „სახოგადო საქმე", რომლის პირველი წარმოდგენა განხორციელია ბაკოში ავტორის საბენიფისოდ თებერვლის 12.

◆ ხაშურის სკენის მოყვ წრის მაგიერ 5 გოცირიძეს დღ. ს მოულოდაცეს ნ. სიხარულიძე

◆ **ს. ხაშმაზე კოოპერატივის** დაარსება შესახებ გასულ კვირას მოლაპარაკება იყო. საბერო კაცები აირჩიეს და მიანდეს საქმის დაწყება. ამავე დღეს ყოლობამ ერთხმად სთხოვა მღ. ი. ბაბაზიშვილს განაგრძოს ფულის აკრება კოოპერატივის წევრობის მსურველთ.

◆ **გაპირველებულ** ქართველ მამბადიანთათვის დავ. სპ. ზუკაიშვილისგან მივიღეთ 4 მ. სოფ. ხაშმზე წერილ წერილად შეკრებილი.

სახალხო სახლი

შაბათს, 4 თებერვალს 1017 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წერ ნიკო გოცირიძეს 20 წლ. სახალხო სცენაზე მოღვაწეობის „ღირსი" ძ. ნაგად გამართავს სადღესასწაულო სადამოს. წარ-

მოდგენილი იქნება

1	2
ტარტიუფი	მსხვერპლი
III და IV გ. მოლიერისა	I მოქ. ი. გეფეანიშვილისა

3) ხანუმა II მოქ. ს ტაბარდლისა

რეჟ. გ. შაორიშვილი. დასაწყისი სადამოს 8 ს. ბიდგუები ითვლება ოპერის ჯასში 12 2 და 6-8 საათამდე.

11/1.30 10 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VV. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათ. ის VV.

სათეატრო სალიტერატურო, სამხატვრო ყოველიური ხელის მომწერნი მიიღებენ

ქვირიული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

ორ პრ ია

ა ა ა ა ა ი ს „ნაკვეთები და ბრძნული სიტ-ყვანები" ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჯ. ლ ო ბ ო ა თ ი ბ ი ს „ერეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა მიერ ს. პროგრამიული მიმართულებისა

, ,, მომავალ ილეობს მიიღებენ ჩვენი დამაჯერებელი და ახალგაზდა ნ

ჭიერი მწერლები: მგოსნები, **კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები**

ჟურნალის ფასი ორივე პრეფიათ წელიწადში დირს **8** მან. ნახევარის წლიდა. მხ. **50** კ ,ხ. თითო ნომერი ფეიდან 15 კ,ბ ფეიდის შემოტანა ნაწილ-ნაწილ-დ ,ეიძ ლებ: ხელის მოწერის დრს 3 მ., 1-მესამედ—3 მ. 1-ელ ეკონომიოვენ

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სარკანინს" **სტამბის კანტორაში** (მდათოვის ,ეკ ძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ,ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდ გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: **Тифлисъ, ред „Театри да Цховреба"** Іосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქარ-თველ ხელოვანთა საზ-ის თაოსნობით

ძველ ქართულ სიეე-ლენო ფრესკებიან **გ ა მ ო ფ ე ნ ა**

გამოფენა გაიღო ინვერის 8, ღიაა ,ღილი 10 საათიდა შეადგის 4 ს-დე შესვლის ფასი—50კ. მოწეფ. —25. კ.

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი კვირ ს თეტ 5 ,ღ-ლით

გამეფენილ ,ეაზ-ის მანაწილოებით

ს ა მ შ ო ბ ლ ო

დასაწყ. საღ. 12 ს. ფასი: 1-70 კ - 30 კ-დე. რეჟისორი ***. ადმინისტრ. დრამ. საზ-ბისა

ხ ა რ ფ უ ხ ი ს საზ-ბადო **კ ლ უ ბ ი**

(მაზეილის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა თეტ. 5-12

ორ შ ა ბ ა თ ი —სინემატოგრ. სიმეტ ორკ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ი სინემატოგრაფი: სიმეტ. ორკეს.

ო ტ ხ შ ა ბ ა თ ი —ქართული წარმოდგენა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი —ოპერეტა რუ-ული ,ეიანი.

პ ა რ ა ს კ ე ვ ი — არშინ მალ-ალან", ,ქართულად

შ ა ბ ა თ ი —რუსული წარმოდგენა

კ ვ ი რ ა —სიმეტიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ,ქალები და სტუ-დენტები — 25 კ. ,ბმაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოდგენა—კონცერტების და - სინემატოგრაფ—საღ. 8 ნახ. ს.

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი 1 კვირის ,ბრო თეტ. 5-12

კ ვ ი რ ა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ო რ შ ა ბ ა თ ი —ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ი —სათოკახო სადამო

ო ტ ხ შ ა ბ ა თ ი. —სინემატოგრაფი. სიმეტ, ორკ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კ.ა.

პ ა რ ა ს კ ა ვ ი. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

ხ ა ბ. — სოოკახო სადამო

კ ვ ი რ ა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დ ა ს ა ბ ა ლ ი: კონცერტებისა საღამ. 9 ,ეთ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა. შემსაბ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. ,ბმაკაც. 1 მ.

ქუთაისში
ბ ლ ა ბ ი ძ ე ბ ს
ბ ლ ა ბ ი ძ ე ბ ს
ბ ლ ა ბ ი ძ ე ბ ს